ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

დათუნა მოდებაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

კობა ბოჭორიშვილი - კოლეგიის წევრი

ზურაბ ძლიერიშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ე. ჩ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 27.01.2012

საჩივრის რეგისტრაციის №010/12

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ კ. ნ.

გადაწყვეტილების მიღების თარიღი: 27.02.2012

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ კ. ნ. მიმართ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

2012 წლის 27 იანვარს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას მომართა ე. ჩ. და მოითხოვა ადვოკატ კ. ნ. მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე–6 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია: ,,პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, გარდა ანონიმური საჩივრისა“. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ე. ჩ. 2011 წლის 9 სექტემბერს ეთიკის კომისიას მომართა საჩივრით კ. ნ. წინააღმდეგ (დისციპლინური საქმე №080/11). ამასთან, საჩივრის ავტორის №080/11 საჩივარი არსებითად განხილულ იქნა და 2011 წლის 12 დეკემბერს ეთიკის კომისიამ ადვოკატ კ. ნ. მიმართ მიიღო გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის არ აღძვრის თაობაზე.

ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე–9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, ,,ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ არსებობს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის იმავე საკითხზე.“ ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ვინაიდან უკვე განხილულია და გადაწყვეტილებაა მიღებული ე. ჩ. იგივე შინაარსის მქონე საჩივარზე ადვოკატ კ. ნ. წინააღმდეგ №010/12 დისციპლინურ საქმეზე დისციპლინური წარმოება უნდა შეწყდეს.

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა რა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე–9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტით და გადაწყვიტა:

1. №010/12 დისციპლინურ საქმეზე ადვოკატ კ. ნ. მიმართ, შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ჩაბარდეთ მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /დათუნა მოდებაძე/

კოლეგიის წევრი: /კობა ბოჭორიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ზურაბ ძლიერიშვილი/